# თუშ- ფშავ -ხევსურეთის ფლორის მრავალფეროვნება (დიდი კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი)

*შამილ შეთეკაური*

ელ ფოსტა: momxsenebeli @tsu.ge

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 13

თეზისში მოცემულია თუშეთის, ფშავის, პირაქეთი და პირიქითი ხევსურეთის (აღმოსავლეთი კავკასიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილი) ფლორის სისტემატიკური, ქოროლოგიური და ეკოტოპოლოგიური კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევა ეფუძნება როგორც პირადი კვლევის, ისე არსებულ ლიტერატურულ მონაცემებს. საკვლევი ტერიტორია მოიცავდა მთის (მონტანური), სუბალპური, ალპური და სუბნივალურ სარტყლებს - ზღვის დონიდან 1000(1200)-3500(4000) მ სიმაღლეებს. სულ აღრიცხულია ჭურჭლოვან მცენარეთა 1202 სახეობა, 434 გვარი და 103 ოჯახი. აქედან 236 სახეობა ანუ მთლიანი ფლორის 19,6 % კავკასიის და კავკასიონის ენდემია.

წამყვანი ოჯახებია - *Asteraceae* (170 სახეობა), *Poaceae* (79 სახეობა), *Scrophulariaceae* (65 სახეობა), *Caryophyllaceae, Fabaceae* (თითეული 63 სახეობა), *Brassicaceae* (62 სახეობა ), *Rosaceae* (61 სახეობა), *Apiaceae, Cyperaceae* (თითეული 52 სახეობა), *Lamiaceae* (50 სახეობა), *Boraginaceae* (34 სახეობა), *Polygonaceae* (22 სახეობა), *Geraniaceae, Primulaceae,* (თითეული 17 სახეობა). წამყვანი გვარებია - *Carex* (39 სახეობა), *Veronica* (18 სახეობა), *Campanula* (15სახეობა), *Rosa* (14 სახეობა), *Cerastium, Scrophularia* (თითეული 12 სახეობა), *Primula, Saxifraga* (თითეული 11 სახეობა), *Verbascum* (10 სახეობა), *Pedicularis, Potentilla, Manuartia* (თითეული 9 სახეობა).

ფლორა ერთიანდება არეალის 9 ტიპსა და 33 ქვეტიპში. ქოროლოგიური სპექტრი აჩვენებს კავკასიურ-მცირე აზიური, პალეარქტიკული, კავკასიურ-წინააზიური, ჰოლარქტიკული, საკუთრივ კავკასიური და კავკასიონის გეოგრაფიული ელემენტების დომინანტურ როლს.

მცენარეთა კომპოზიცია და ცენოზური როლი დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში განსხვავებულია. აღნიშნულს განაპირობებს შესწავლილი ტერიტორიის გლაციალური, ედაფური და კლიმატური თავისებურება, ლითოლოგიური და ჰიფსომეტრული განსხვავებულობა-მრავალფეროვნება.